ხაშურის მოამბე

№37(361) 11 ოქტომბერი, სამშაბათი, 2022 წელი

მიხეილ შაყულაშვილმა რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა, სამხარეო ადმინისტრაციაში, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე შეკრებილებმა მუნიციპალიტეტებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები განიხილეს. ასევე, იმსჯელეს რეგიონისთვის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებაც, როგორიცაა, ტურიზმი, განათლება და გარემოს დაცვითი საკითხები. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა მიუსაფარი ცხოველების საკითხის ეფექტურ მოგვარებაზე. რეგიონის პირველმა, პირებმა შიდა ქართლის რეგიონში, საოკუპაციო ხაზის სოფლებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებიც განიხილეს. აღსანიშნავია, რომ გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას, ზამთრის პერიოდში, გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დახმარება გაეწევა და სტუდენტების 2022-2023 სასწავლო წლის დაფინანსება გაგრძელდება.

როგორც შეხვედრისას რწმუნებულმა აღნიშნა, მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროექტების განხორციელებისა და ასევე, საკითხების დროული მოგვარების მიზნით, სამხარეო ადმინისტრაციის და მერიების მჭიდრო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

პედაგოგებს პროფესიული დღესასწაული მიულოცეს

5 ოქტომბერს, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად გოგუაძემ, მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ პედაგოგებს პროფესიული დღე მიულოცეს.

მაგული რიკაძეს, იზოლდა ჩიტიაშვილს, რუიზან მარაბდელს, აკაკი ჯუხარიძეს, თენგიზ ბეროზაშვილსა და ნანი მაკარიძეს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ, ხოლო ნანი მაკარიძეს საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ჯილდო მიენიჭა.

მუნიციპალიტეტის მერმა და რესურსცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნეს, რომ მათი შრომა ფასდაუდებელია და მომავალი თაობების ჩამოყალიბება, მეტწილად, სწორედ პედაგოგების დამსახურებაა.

შეხვედრის ბოლოს,პედაგოგებმა მადლობა გადაიხადეს დაფასებისთვის და მასწავლებლის დღის მილოცვისთვის.

მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგების წახალისება, ხაშურის მუნიციპალიტეტში ტრადიციულ ხასიათს ატარებს და ორგანიზატორი, მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურია.

გამყოფ ხაზთან მცხოვრებ მოსახლეობას, ზამთრის პერიოდში, გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დახმარება გაეწევა და სტუდენტების 2022-2023 სასწავლო წლის დაფინანსება გაგრძელდება

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომა კომისიის თავმჯდომარემ - რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ, თანათავმჯდომარემ - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ლერი ბარნაბიშვილმა გახსნეს.

კომისიის 25-ე სხდომის დღის წესრიგის თანახმად,რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის, ზამთრის პერიოდში, გათბობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური დახმარების გაწევისა და სტუდენტების 2022-2023 სასწავლო წლის დაფინანსების გაგრძელების თაობაზე. ასევე, შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სოფელ ზარდიაანთკარში დაზიანებული სახლების აღდგენის მიზნით, სახელმწიფო უწყებებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების, მიმდინარე საქმიანობისა და სამომავლო ქმედებათა კონკრეტული გეგმების განხილვა.

„როგორც მოგეხსენებათ ,პრემიერის გადაწყვეტილებით, სოფელ ზარდიაანთკარში იგეგმება 28 სახლის აღგენა, რის შემდეგადაც მოსახლეობა დაბრუნდება საკუთარ სახლებში, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უკვე დაანგარიშებულია ხარჯთაღრიცხვა, უახლოეს მომავალში კომისიის გადაწყვეტილება გადაეგზავნება ფინანსთა სამინისტროს,დაფინანსების გამოყოფის შემდეგ კი დაიწყება სახლების აღდგენა. მე მინდა, კომისიის წევრებს გადავუხადო დიდი მადლობა ნაყოფიერი მუშაობისთვის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას,“-განაცხადა საქართველოს მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ლერი ბარნაბიშვილმა.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ირაკლი ქარსელაძემ აღნიშნა,ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, 2022 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში,სულ,დასრულდა და მიმდინარეობს 168 პროექტი,რომელთა საერთო ღირებულება დაახლოებით 76,2 მლნ ლარს შეადგენს. მათ შორისაა, როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ისე წყალმომარაგების სისტემების მოწყობის, საბავშვო ბაღებისა და სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები.

სახელმწიფო მინისტრმა თეა ახვლედიანმა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების ცხოვრების სათანადო პირობების უზრუნველყოფის მიზნით,მათი მხარდაჭერის და ამ მიმართულებით კომისიის მიერ გაწეული ძალისხმევის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მინისტრის განცხადებით, სწორედ გამყოფი ხაზების სიახლოვეს მოსახლეობაზე ზრუნვა წარმოადგენს შერიგების და ჩართულობის პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 60

2022 წლის 06 ოქტომბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 02 ივნისის №31 განკარგულებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით წარმოედგინა დასკვნა (წინადადებები) 3 თვის ვადაში. სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაოსა და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, სახელმწიფოს მხრიდან ხელშემწყობი პროგრამებისა და გარანტიების გათვალისწინების პარალელურად, მუნიციპალურ დონეზე შშმ პირების სტატისტიკური მონაცემების, სამუშაო ბაზრისთვის მათი უნარ-ჩვევების, გადამზადებისა და სხვა საჭიროებების გაანალიზების შედეგად შემუშავებული იქნა „ხაშურის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც სამუშო ჯგუფის 2022 წლის 02 სექტემბრის შემაჯამებელი სხდომის შემდეგ, შესაბამისი დასკვნით, ფინანსური საკითხის შესათანხმებლად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს, ხოლო სამუშაო ჯგუფის გაწეული საქმიანობის ანგარიში უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოს სხდომას და სამუშაო ჯგუფს შეუწყდეს უფლებამოსილება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ე“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის, 61-მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის გაწეული საქმიანობის ანგარიში და შეუწყდეს უფლებამოსილება სამუშაო ჯგუფს.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, სარჩელის წარდგენის გზით, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე
ნინო ლიპარტელიანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია ამ მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფისათვის დასაქმების ხელშეწყობის ისეთი სერვისების შეთავაზება, რომელიც გრძელვადიან შედეგებზე იქნება ორიენტირებული.

მუხლი 2. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:

ა) შშმ პირთათვის შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება (დანართი 1)

ბ) შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალურ დონეზე ინდივიდუალური
და ჯგუფური კონსულტირების გაწევა (დანართი 2)

გ) საშუამავლო მომსახურების მიწოდება-განვითარება (დანართი 3)

დ) მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი
მექანიზმების შემუშავება და დანერგვა (დანართი 4)

ე) ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევის განხორციელება მინიმუმ
წელიწადში ერთჯერ (დანართი 5)

ვ) სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა (დანართი 6)

მუხლი 3. პროგრამის დაფინანსების წყარო და მექანიზმები

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი-2023 წელი.

მუხლი 4. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

1. სამუშაოს მაძიებლები (მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირები)
2. დამსაქმებლები
3. სოციალური პარტნიორები
4. მასმედიის წარმომადგენლები
5. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური

მუხლი 5. პროგრამის განმახორციელებელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

მუხლი 6. სპეციალური სტატუსის ბენეფიციარები

სპეციალური სტატუსის ბენეფიციარები არიან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირები, მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.

მუხლი 7. ზედამხედველობა

ამ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით ზედამხედველობა დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 8. პროგრამის შესრულების ინდიკატორი

ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, სამუშაოს მაძიებელ შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი.

დანართი 1

შშმ პირთათვის შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის განვითარება

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობისათვის მაძიებელთა, დამსაქმებელთა აღრიცხვისათვის, ასევე მათი საკვალიფიკაციო მონაცემების დამუშავებისათვის საჭირო ელექტრონული სისტემების შექმნა, ასევე ვაკანსიების აღრიცხვა, დამუშავება და ანალიზი,

მონაცემთა ბაზების შექმნა, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების მექანიზმის დახვეწა-განვითარება გენდერულ ჭრილში.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება, მონაცემთა ბაზის ფორმირება და ადმინისტრირების სიტემაში სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავების ფუნქციის გამართვა.

მუხლი 3. შესრულების ინდიკატორი

სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვება დაწყებულია, ხდება მონაცემთა ბაზის ფორმირება და ინფორმაციის შეგროვება-დამუშავების ფუნქციის გამართვა.

დანართი 2

შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალურ დონეზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

შშმ პირთათვის შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობა, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და გარემო პირობებთან ადაპტაციის ხელშეწყობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ინდივიდუალური კონსულტირება-პროცესი, რომელიც ხორციელდება საშუამავლო მომსახურების კონსულტანტისა და სამუშაოს მაძიებლის პირისპირ შეხვედრის ფორმატში და მიზნად ისახავს დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით პიროვნულ განვითარებას.

2. ჯგუფური კონსულტირება-ჯგუფური კონსულტირება კონცენტრირებულია სამუშაოს მაძიებლის დასაქმებასთან დაკავშირებული ბარიერების აღმოფხვრაზე ჯგუფური დინამიკის გამოყენებით. ჯგუფური კონსულტირების ტექნიკა და მეთოდი გამოიყენება გამოცდილების, პიროვნული განვითარების შესაძლებლობების გასაზიარებლად და დასაქმებისათვის საჭირო კომპეტენციების ზრდისათვის.

მუხლი 3. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. მუნიციპალიტეტის ფარგლებში, შშმ პირთათვის, კვარტალში ერთხელ ჯგუფური კონსულტირების ორგანიზება და ინდივიდუალური კონსულტირება უწყვეტ რეჟიმში, შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობის და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

2. შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ჩართულ მხარეებთან (სამთავრობო და არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციები, დამსაქმებლები, დამსაქმებელთა გაერთიანებები, პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლები, სოციალური სამსახურები) თანამშრომლობით მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების შრომის ბაზარზე ქცევის წესების გაცნობისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების ორგანიზება.

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფები

1. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირები.
2. ხაშურის მუნიციპალიტეტი

მუხლი 5. შესრულების ინდიკატორი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში ხორციელდება ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირება შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

დანართი 3

საშუამავლო მომსახურების მიწოდება-განვითარება

მუხლი 1. ღონისძიებების მიზანი

ღონისძიებების მიზანია შრომის ბაზარზე შშმ პირებზე მორგებული თავისუფალი სამუშაო ადგილების მოძიება, შშმ პირთა დასაქმების მიზნით დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ოპერატიული და ეფექტიანი დაკავშირება ან/და ასეთი კავშირების ხელშეწყობა.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. დამსაქმებლებსა და შშმ პირთა მეტი ინფორმირებულობა დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო მომსახურების შესახებ.
2. მუნიციპალურ დონეზე საშუამავლო მომსახურების გაწევის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ცალკეულ დამსაქმებელთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან და დასაქმების კერძო სააგენტოებთან თანამშრომლობის განვითარება.
3. დამსაქმებლების მხრიდან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ

პირებისათვის გამოყოფილ ვაკანსიებზე კანდიდატების შერჩევა და დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში, გასაუბრების ორგანიზება.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფები

1. რეგისტრირებული შშმ პირი
2. დამსაქმებელი
3. ხაშურის მუნიციპალიტეტი

მუხლი 4. შესრულების ინდიკატორი

4. დამსაქმებლებისა და შშმ პირთა ინფორმირებულობის მაღალი დონე. რეგისტრირებულ დამსაქმებელთა რაოდენობა, დამსაქმებელთა მიერ მოწოდებული ვაკანსიების რაოდენობა, სადაც გამოყოფილია ვაკანსიები შშმ პირთათვის. დამსაქმებლებისათვის შეთავაზებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა.

დანართი 4

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფისათვის დასაქმების ხელშეწყობის ისეთი სერვისების შეთავაზება,რომელიც გრძელვადიან შედეგებზე იქნება ორიენტირებული.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ ღონისძიების მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. ბენეფიციარი- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი-არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.
3. დამსაქმებელი- კერძო სამართლის სუბიექტები, რომლებსაც შეუძლიათ შეუქმნან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შშმ პირებს ადაპტირებული გარემო და წარმოადგინონ მათთვის გამოყოფილი ვაკანსიები.
4. შრომითი ხელშეკრულება- არის ხელშეკრულება,რომელიც ითვალისწინებს შრომის ანაზღაურებას და იდება არანაკლებ 6 თვის ვადით.
5. საშუამავლო მომსახურების კონსულტანტი- პირი, რომელიც არის შუალედური რგოლი და ანხორციელებს ერთის მხრივ, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საშუამავლო მომსახურების გაწევას, ანაზღაურებადი სამუშაოს მოძიებისა და მისი შენარჩუნების მიზნით, მეორეს მხრივ, პოტენციური დამსაქმებლებისათვის აღნიშნული სამუშაოს მაძიებლების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, მათი ცოდნის, უნარების და ინტერესების შესაბამისად, საშუამავლო მომსახურების კონსულტანტი ასევე მუშაობს დანარჩენი ბენეფიციარების დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით.
6. დაცული სამუშაო ადგილი- დამსაქმებლების მიერ მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა,რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არის ადაპტირებული.

მუხლი 3. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საშუამავლო მომსახურების კონსულტანტის მიერ დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიწოდებული მომსახურება, რაც მოიცავს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი შშმ პირების უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების,მხარდაჭერის საჭიროების უზრუნველყოფის და მოტივაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვების საფუძველზე შესაბამისი სამუშაოს მოძიება/ შეთავაზებას.
2. საშუამავლო მომსახურების კონსულტანტის მიერ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა, რაც გულისხმობს დამსაქმებლებისათვის შშმ პირების უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

მუხლი 4. სამიზნე ჯგუფები

ღონისძიების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირები

მუხლი 5. შესრულების ინდიკატორი

1. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმ შშმ პირების რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ საშუამავლო მომსახურება და დასაქმდნენ შრომის ბაზარზე
2. პროგრამაში ჩართული დამსაქმებლების რაოდენობა

დანართი 5

ვაკანსიების მონიტორინგი და თვისებრივი კვლევის განხორციელება მინიმუმ წელიწადში ერთჯერ

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში, დამსაქმებლების მხრიდან შშმ პირებისათვის გამოყოფილი ვაკანსიების მონიტორინგი,სულ მცირე-რაოდენობის, ლოკაციის, სახელფასო განაკვეთის და ეკონომიკის სფეროების მიხედვით.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

1. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში შშმ პირებისათვის წარმოდგენილი ვაკანსიების ყოველთვიური, კვარტალური და წლიური მონიტორინგი.
2. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების წარმოება, დამუშავება და ანალიზი
3. ეფექტიანი კომუნიკაცია ხაშურის პროფესიულ კოლეჯთან
4. სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საჭიროების მიხედვით
5. კვლევის მეთოდოლოგიის დახვეწა/განვითარება

მუხლი 3. შესრულების ინდიკატორი

ვაკანსიების მონიტორინგისა და თვისებრივი კვლევის ანგარიში.

დანართი 6

სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა

მუხლი 1. ღონისძიების მიზანი

ღონისძიების მიზანია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების დასაქმებით დაინტერესებული მხარეების მქსიმალური ჩართულობა და სოციალური დიალოგის განვითარება.

მუხლი 2. განსახორციელებლი ღონისძიებები

1. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების დასაქმებით დაინტერესებულ მხარეებთან სამუშაო შეხვედრების გამართვა.
2. პროგრამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათგან შესაბამისი უკუკავშირის მიღება.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფი

6. დამსაქმებლები
7. სოციალური პარტნიორები
8. მასმედიის წარმომადგენლები
9. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური

მუხლი 4. შესრულების ინდიკატორი

სამუშაო შეხვედრების რაოდენობა.

შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის დანართი

N	დახმარების სახე	ბენეფიციარები	დახმარების მიზნობრიობა და რაოდენობა	წარმოსადგენი დოკუმენტაცია
1	შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალურ დონეზე, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირები	1. ინდივიდუალური კონსულტირება-პროცესი, რომელიც ხორციელდება საშუამავლო მომსახურების კონსულტანტისა და სამუშაოს მაძიებლის პირისპირ შეხვედრის ფორმატში და მიზნად ისახავს დასაქმების შესაძლებლობების გაზრდასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების მიხედვით პიროვნულ განვითარებას-ყოველთვიურად. 2. ჯგუფური კონსულტირება-კონცენტრირებულია სამუშაოს მაძიებლის დასაქმებასთან დაკავშირებული ბარიერების აღმოფხვრაზე ჯგუფური დინამიკის გამოყენებით. ჯგუფური კონსულტირების ტექნიკა და მეთოდი გამოიყენება გამოცდილების, პიროვნული განვითარების შესაძლებლობების გასაზიარებლად და დასაქმებისათვის საჭირო კომპეტენციების ზრდისათვის-კვარტალში ერთხელ.	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა #IV-100/a 4. შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი
2	დამსაქმებლების მხრიდან მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირებისათვის გამოყოფილ ვაკანსიებზე კანდიდატების შერჩევა და დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში, გასაუბრების ორგანიზება.	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირები და დამსაქმებლები	ინდივიდუალური-ყოველთვიურად და ჯგუფური-კვარტალში ერთჯერ	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა #IV-100/a 4. შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი
3	საშუამავლო მომსახურების კონსულტანტის საქმიანობა	ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირები და დამსაქმებლები	ინდივიდუალური-ყოველთვიურად და ჯგუფური-კვარტალში ერთჯერ	1. განცხადება მერის სახელზე; 2. პირადობის მოწმობის ასლი; 3. ფორმა #IV-100/a 4. შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი
4	მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში შშმ პირებისათვის წარმოდგენილი ვაკანსიების ყოველთვიური, კვარტალური და წლიური მონიტორინგი.	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური	ყოველთვიური, კვარტალური, წლიური	მონიტორინგის ანგარიში
5	სხვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საჭიროების მიხედვით (დასაქმების ფორუმის ორგანიზება, პროფესიული კოლეჯის პროგრამების შესახებ საინფორმაციო ფლაერების დამზადება, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებით მომსახურება გადაადგილების უზრუნველსაყოფად, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება დამსაქმებლებთან)	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური	ყოველთვიური, კვარტალური, წლიური	შესაბამისი დოკუმენტები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20 ,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5, 6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29 ,30,31,32,33,34,35)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

ელდეპოელმა მიხეილ აბაიაძემ და გიორგი რევაზიშვილმა, სპეციალური წნეხის მოწყობით, უზრუნველყვეს ვაგონის ჩარჩოების გაღუნვა გაუხურებლად, რითაც ერთიხუთად დააჩქარეს ვაგონის გადაკეთების სამუშაოები. აღსანიშნავია ოსტატ ქვირიას,ბრიგადირთა – ვლადიმერ ელისაშვილის,გიორგი გამგონიძის,მემანქანეთა – ირაკლი შატბერაშვილის, მიხეილ შიუკაშვილის, ფრანჩუკის, რევიზორთა – გიორგი ლაბაძის, ახალკაცის და სხვების თავდადებული მუშაობა აღებული ვალდებულების შესრულებისათვის.

ვასილ გუდაძე, დიმიტრი კაპანაძე, პაპუაშვილი, სამსონ გელაშვილი, ივანე ოშხელი, ივანე ციყელაშვილი, გიგუცა გიორგაძე, ლომიძე, ჩიტიაშვილი, აბულაძე – საორთქლმავლო დეპოდან, ოსტატები: ოსიტაშვილი, ჩადუნელი, მაღრაძე, გამსინჯველები – ბურნაძე, მაღრაძე, კიკნაძე – სავაგონო დეპოდან, აკაკი ჭყოიძე ენერგომომარაგების დისტანციიდან და კოლია ხარატიშვილი – აღმდგენი მატარებლიდან ყველაზე ნაყოფიერად მუშაობდნენ ნადავლი და დაზიანებული ვაგონების გადაკეთებასა და შეკეთებაზე.

ხაშურელ რკინიგზელთა თაოსნობამ მხრვალე გამოხმაურება ჰპოვა მთელ გზაზე. „ხაშურელთა ღირსების საქმეა, - წერდა ადგილობრივი გაზეთი, - ასევე ღირსეულად განაგრძონ მუშაობა და უფრო უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიონ ფრონტისათვის რეალური დახმარების გაწევის საქმეში“.

იმავე წლის 5 დეკემბრისათვის უკვე 231 ვაგონი იყო აღდგენილი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, სსრკ გზათა მიმოსვლის სახალხო კომისრის ლ. კაგანოვიჩის 1943 წლის 22 აგვისტოს №370 ბრძანებაში ნათქვამია: „ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის კვანძის მუშაკებმა გამოიჩინეს ძვირფასი ინიციატივა, სოციალისტური დახმარება გაუწიეს მევაგონეებს უცხოური ვაგონების რემონტსა და მოდერნიზაციის საქმეში. რკინიგზელის დღის აღსანიშნავად, ძირითადი სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს, მათ გაარემონტეს 30 ვაგონი და აიღეს ვალდებულება სტალინური კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად გაარემონტონ კიდევ 200 ვაგონი.

ხაშურელი რკინიგზელების მაგალითისამებრ თბილისელმა მეელმავლეებმა შეკეთებიდან გამოუშვეს 8 ვაგონი.

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატი ხაშურელ რკინიგზელთა წამოწყებას ვაგონების პარკის შეკეთებისთვის ანიჭებს დიდ მნიშვნელობას“.

ხაშურელ რკინიგზელებს ეკუთვნით მეორე თაოსნობაც – ორთქლმავალზე ყოველგვარ შეკეთებათა ჩატარება საორთქლმავლო ბრიგადების ძალებით. ხაშურის საორთქლმავლო დეპოში, სადაც პრაქტიკულად ხორციელდება ეს თაოსნობა, საკომპლექსო ბრიგადებს საქმე აღარ ჰქონდათ ორთქლმავალთან – ისინი მთლიანად ნადავლი ვაგონების შეკეთებაზე იყვნენ გადართული.

კავშირგაბმულობის ხაშურის დისტანციის მუშაკმა ალექსი ხიჩაკაძემ პირადად მოაწყო სადისპეჩერო აპარატის ერთ-ერთი კომპლექტი გათავისუფლებულ რკინიგზაზე გასაგზავნად.

უცხოური ვაგონების აღდგენისა და რემონტის ორგანიზაციების ინიციატივის გამოვლინებისათვის „საპატიო რკინიგზელის“ სამკერდე ნიშნით ხაშურიდან დააჯილდოვეს შალვა გურეშიძე (ხაშურის კვანძის პარტკომის მდივანი), ვლადიმერ ელისაშვილი (ელდეპოს მემანქანე), დიმიტრი კაპანაძე (საორთქლმავლო დეპოს მემანქანე), გიორგი ოსიტაშვილი (სავაგონო დეპოს უბნის ოსტატი), გიორგი რევაზიშვილი (ელდეპოს მჭედელი), გიორგი თომაძე (საორთქლმავლო დეპოს უფროსი) და გიორგი იარალოვი (ელდეპოს უფროსის მოადგილე). ამ სამუშაოების ერთ-ერთი ინიციატორი და წამომწყები შ. გურეშიძე აღნიშნავდა: „ჩვენ ყველა სამუშაოები ძირითადად ავაგეთ სამ სპეციალურ ბრიგადაზე. პირველი ბრიგადა უშუალოდ დაკავშირებული იყო გადაკეთებით: ჭრიდა საბუქსო ჩარჩოებს, რესორების კრონშტეინებს, მეორე – ეგრეთწოდებული ტექნიკური ბრიგადა დაკავებული იყო შესარემონტებელი ვაგონების ზომების აღებით... ამასთან, იგი ყურადღებას აქცევდა შეკეთების ტექნოლოგიურ პროცესსა და მუშა ძალას, მესამე იყო დამხმარე ბრიგადა“.

ამ საქმიანობაში თავიანთი წვლილი კვანძის ყველა საწარმომ შეიტანა. მარტო 1943 წელს გეგმის გარეშე თავისუფალ საათებში და უსასყიდლოდ შეკეთებულ იქნა 231 ვაგონი. აქედან საელმავლო დეპომ აღადგინა 115 ვაგონი, საორთქლმავლო დეპომ – 42, სავაგონო დეპომ – 38, ენერგომომარაგების უბანმა - 6, კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანციამ – 12, აღმდგენი მატარებლის მუშებმა – 18.

ხაშურელ რკინიგზელთა ამ ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რკინიგზელებში ქვეყნის მასშტაბით. 1944 წლის 29 ივლისს ადგილობრივი გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“ ამასთან დაკავშირებით წერდა: „1943 წელს ხაშურის კვანძზე დაიბადა და შემდეგ საყოველთაოდ გავრცელდა ძვირფასი ინიციატივა ნადავლი ვაგონების აღდგენისა და მოდერნიზაციის შესახებ... სტალინური კონსტიტუციის დღის – 5 დეკემბრისთვის 231 ვაგონი დავუბრუნეთ მწყობრს... რკინიგზელები არაფერს იშურებენ გათავისუფლებული საბჭოთა რაიონების და რკინიგზების დასახმარებლად. ამ წლის დასაწყისში სპეციალური „კვირაობა“ მოეწყო გათავისუფლებული რკინიგზელის დასახმარებლად. ერთ დღეს 997 ცალი სხვადასხვა სახის იარაღი და ინვენტარი დავამზადეთ... სალიანდაგო დისტანციაში ფართოდ იყენებენ შინარესურსებს, აქ საკუთარი ძალებით 12000 შპალი დაამზადეს, გაარემონტეს და გამოიყენეს 196 ზედა და ქვედა 41 ტონა ომბოხები... საორთქლმავლო დეპოში ზეინკალმა ი. ოშხელმა და ხარატმა შ. თომაძემ აღადგინეს წლობით გამოუყენებელი დაზგა“.

ამ წამოწყების გაგრძელებას წარმოადგენდა საორთქლმავლო და საელმავლო დეპოების კოლექტივების ინიციატივა – ფრონტზე დაზარალებული ორთქლმავლების აღდგენა. საელმავლო დეპოს უფროსის მოადგილის გ. სტეფანოვის და შემკეთებელი საამქროს ოსტატ ლ. ქვირიას ხელძღვანელობით სამგზავრო ელმავლების ბრიგადებმა და საამქროთა მუშაკებმა ივალდებულეს საწარმოო დავალებათა შესრულების პარალელურად, გეგმის გარეშე,კაპიტალური შეკეთება ჩაეტარებინათ მწყობრიდან გამოსულ თითო ორთქმავლისათვის. ასეთივე ინიციატივა იკისრეს საორთქლმავლო დეპოს მუშაკებმა დეპოს უფროსის მოადგილის გ. ჭავჭავაძისა და ოსტატ გიორგი ლომიძის თაოსნობით.

მეელმავლეებსა და მეორთქლმავლეებს შორის ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისთვის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. საველე სადგურებიდან ამოიყვანეს ფრონტზე დაზიანებული ორთქლმავლები, რომლებიც გამორიცხული იყვნენ ინვენტარიზაციიდან და საქარხნო შეკეთებას მოითხოვდნენ. მცირე დროში, როგორც საელმავლო, ასევე საორთქმავლო დეპომ ვალდებულება წარმატებით გაინაღდეს. საელმავლო დეპომ სამი, ხოლო საორთქლმავლო დეპომ ხუთი ორთქლმავალი აღადგინა და ისინი მოქმედი ორთქლმავლების მწყობრში ჩააყენეს.

ამ სამუშაოების წარმატებით შესრულებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს: საორთქლმავლო დეპოდან სიკო ბათევმა. გ. ტეფნაძემ, გრიგოლ ცერცვაძემ, დეკანოიძემ, ტ. ბლიაძემ, გ. კიკნაძემ, ყარამან ლომიძემ, დიმიტრი კაპანაძემ, გაგნიძემ, ნოზაძემ, ნიკოლოზ ჩიტიაშვილმა, გიგუცა გიორგაძემ, ივანე ოშხელმა, ივანე ციყელაშვილმა, ჩიტაძემ და სხვებმა საელმავლო დეპოდან: გრიგოლ რიჟამაძემ, გიორგი კევლიშვილმა, ნიკოლოზ ტყეშელაშვილმა, პავლე ნოზაძემ, გიორგი ბუდაძემ, ევგენი ხაჩიძემ, გიორგი მეგრელიშვილმა, ალექსანდრე ლაბაძემ, ირაკლი მექერიშვილმა, გიორგი გამგონიძემ, გიორგი რევაზიშვილმა, არჩილ ქურდაძემ, გია ნოზაძემ და სხვებმა.

ხაშურელმა რკინიგზელებმა 1944 წელს აღადგინეს ხაშური-სურამის სარკინიგზო ხაზი და სურამისკენ სისტემატურად დაიწყო მატარებლების მიმოსვლა.

ხაშურის რკინიგზის კვანძის მუშაკებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ა. კ რკინიგზის პროფკავშირული ორგანიზაციების სახელობის თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებად დაწყებულ მოძრაობაში. ამასთან დაკავშირებით ი.ბ. სტალინმა სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნა ა.კ. რკინიგზის მოძრაობის ხაშურის განყოფილების უფროსს კვინიკაძეს:

„ხაშური, ა.კ. რკინიგზის მოძრაობის ხაშურის განყოფილების უფროსს ამხ. ვ. კვინიკაძეს, რაიპროფკომიტეტის თავმჯდომარეს ამხ გ. კაპანაძეს

გთხოვთ, გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა ხაშურის განყოფილების რკინიგზელებს, რომლებმაც ამიერკავკასიის რკინიგზელთა პროფკ-ავშირული ორგანიზაციების სახელობის თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებად შეაგროვეს 130.873 მანეთი, 49 827 მანეთის სახელწიფო სესხის ობლიგაციები და 428424 მანეთის გამოუყენებელ შვებულებათა კომპენსაციები”.

ჩელიაბინსკელი ორთქლმავლის მემანქანის აგაფანოვის ინიციატივას – თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის საორთქლმავლო და საელმავლო კოლონების მოწყობის შესახებ, მხურვალედ გამოეხმაურნენ საელმავლო დეპოს მემანქანეები. აქ შეიქმნა თავდაცვის სახელწიფო კომიტეტის სახელობის 4 საელმავლო კოლონა. კოლონებში შეყვანილ იქნენ ყველაზე წარჩინებული საელმავლო გუნდების ელმავლები. ელმავალი,რომელზეც მუშაობდნენ ვ. ფრანჩუკის, შ. კაპანაძის და ქ. გველესიანის გუნდები, მოხარატებიდან მოხარატებამდე მათ გაირბინეს 163000 კილომეტრი. დაწესებულზე ერთი-ორად მეტი და სახელმწიფოს მისცეს 20000 მანეთის ეკონომია. ბრიგადამ ივალდებულა, რომ გაამართლებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის კოლონის მონაწილის სახელს, მოხარატებიდან მოხარატებამდე გაირბენს 200 000 კილომეტრს და საჭირო ხარჯებს 25%-ით დაზოგავს. კოლონაში შესულ მეორე ბრიგადის ვალდებულება, რომელშიც შედიოდნენ რიჟამაძის,მანჯავიძისა და მაღლაკელიძის გუნდები,ასეთი იყო: მოხარატებიდან მოხარატებამდე გაირბინონ 160 000 კილომეტრი დაეზოგათ ხარჯების 25%.

ასეთივე ვალდებულებები იკისრეს კოლონაში შესული სხვა ელმავლების ბრიგადებმა პ. ნოზაძის, გ. გელაშვილის. გ, ამაშუკელის. გ, ხუჯაძის. ა. აგლაძის და სხვების შემადგენლობით.

1944 წლის თებერვალში, ხაშურელმა რკინიგზელებმა ახალ შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწიეს. კვანძის სამმა საწარმომ – მოძრაობის განყოფილებამ (უფროსი კვინიკაძე), საელმავლო დეპომ (უფროსი კაკაბაძე) და ენერგომომარაგების პირველმა უბანმა (უფროსი წერეთელაშვილი), მოიპოვეს პირველობა ა/კ რკინიგზის საწარმოთა შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიენიჭათ გზის გარდამავალი წითელი დროშები.

11 მარტს რკინიგზის კლუბში შედგა დიდი საზეიმო სხდომა, სადაც გამარჯვებულ კოლექტივებს გზის უფროსის მოადგილემ ქარუმიძემ გადასცა გარდამავალი დროშები (). რკინიგზელთა დღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავის სიტყვას ამბობდა საელმავლო დეპოს კოლექტივი. ივნისის პირველი დეკადიდან დაწინაურდნენ: ხარატი ნიკო ნოზაძე, მჭედელი მ. რევაზიშვილი, ზეინკალი შ. ულუმბელაშვილი და სხვები.

საორთქლმავლო დეპოში, ოსტატ ლომიძის ბრიგადამ გაანაღდა ვალდებულება – 15 ივნისს მწყობრში ჩააყენა ორთქლმავალი,რომელიც ფრონტისპირა ზოლში მუშაობისას ძლიერ დაზიანდა. ასევე საელმავლო დეპოს თანამშრომლები წარმატებით ასრულებდნენ ვალდებულებას - ამთავრებდნენ პარკიდან გამორიცხული 2 ერთქლმავლის აღდგენას.

დაუღალავად მუშაობდნენ ახალგაზრდა რკინიგზელებიც, საელმავლო დეპოს კომკავშირული საფრონტო ბრიგადა, რომელსაც დერევიანჩენკო ხელძღვანელობდა დღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებდა სავაგონო დეპოს ახალგაზრდებს მწყობრში შეჰყავდათ პარკიდან გამორიცხული ვაგონი. ამ სამუშაოზე „სამასოვანი“ გახდა შემდგუღებელი შაქრო წიქარიშვილი.

2 ივლისს, კვირას, სამუშაოდან თავისუფალ დღეს, სავაგონო დეპოს ოსტატებმა ახალი სარეკორდო მაჩვენებლები მოიპოვეს. ოსტატებმა ქიტიაშვილმა, სულეიმანაშვილმა,თუთისანმა,ლაითაძემ და ზაზიკაშვილმა ამ დღეს ინვენტარიდან გამორიცხული ნაწილებიდან ააშენეს ახალი ვაგონი, რომელიც რკინიგზის სამმართველომ ჩარიცხა ინვენტარში და მიაკუთვნა ახალი ნომერი.

ოსტატებმა ვაგონის აშენებაზე გამომუშავებული თანხა თავდაცვის ფონდში შეიტანეს.

1944 წლის ნოემბერში, ტვირთების გადაზიდვისა და სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებათა შესრულებისათვის, ენერგიული და სამაგალითო მუშაობისათვის, გზათა სახალხო კომისარმა ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკები დააჯილდოვა „საპატიო რკინიგზელის“ ნიშნით.

დაჯილდოებულთა შორის ხაშურიდან იყვნენ: ლევან ქვირია – საელმავლო დეპოს ოსტატი,კონსტანტინე ნაგორნი – სალიანდაგო დისტანციის უფროსი,გიორგი ნოზაძე – საორთქლმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი, გიორგი ხიზანიშვილი – საელმავლო დეპოს მემანქანე, ნიკოლოზ ჩიტიაშვილი – საორთქლმავლო დეპოს მექვაბე და გრიგოლ ჭელიძე – მოძრაობის განყოფილების დისპეჩერი.

1942 წლის ივნისის თვის 20 დღის შედეგების მიხედვით, ამიერკავკასიის საელმავლო დეპოებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა ხაშურის საელმავლო დეპომ. წარმატებული მუშაობა გრძელდებოდა შემდგომ დღეებშიც. საელმავლო ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ მემანქანეები დავით ტატიშვილი, აქვსენტი ფცქიალაძე და ვასილ თომაძე, წარმატებით შეასრულეს ვალდებულება – საკუთარი ძალებით გამოუშვეს ელმავალი მოხარატებიდან. მათ მიაღწიეს გრაფიკის ზუსტად დაცვას და ყოველგვარ შეკეთებას თვითონ აწარმოებდნენ. ბრიგადამ 1-1,5 კილომეტრით გაადიდა ელმავლის ტექნიკური სიჩქარე. მოხარატებიდან ელმავალი საკუთარი ძალებით გამოუშვა აგრეთვე ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ მემანქანეები: გ. ამაშუკელი, ა. ბლიაძე და გ. ხუჯაძე. ვალდებულებებს წარმატებით ასრულებდნენ: მეაკუმულიატორე გიგუცა ცაცანაშვილი, ზეინკალი თომა მანუკოვი, ხარატი ირაკლი მექერიშვილი და მჭედელი გიორგი რევაზიშვილი, რომელთაც მარტო 27 ივნისის დღიური დავალება 562-575 პროცენტით შეასრულეს. ვალდებულება გაანაღდა ინჟინერმა პოპოვმაც, რომელმაც ქალებს შეასწავლა მეისრის, „კრანის“ მომუშავის და შემდუღებლის პროფესია

. სამამულო ომის წლებში რკინიგზის კვანძის ყველა საწარმოს მშრომელები თავდადებული შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლეოდნენ. რკინიგზის საწარმოთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა საელმავლო დეპო. ომის პირველ წელს დეპოს კოლექტივის მიერ გამოჩენილი შრომითი მიღწევები გრძელდებოდა მომდევნო წლებშიც.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ.„ხმ“,#36)

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ხაშურის მუნიციპალიტეტის შესახებ

(მოსახლეობა და ეკონომიკური მდგომარეობა)

დავთარში ნათქვამია, რომ ტეზერი ახლოსაა სოფელ ქვიშხეთთან, ხოლო სათესველი ჩალა სოფელ ტეზერთან (თეზირი). იქვე მითითებულია რომ „იგი (სათესველი ჩალა - თ. ლ.) ახლოსაა ლებგურთან“ (ამ უკანასკნელის იდენტიფიკაციას ვერ ვახერხებთ - თ. ლ.). ტეზერში ფიქსირებულია აზნაურის ხუთი ოჯახი.

საერთოდ კომლთა რაოდენობა ტეზერში 102 - ია, სათესველ ჩალაში კი 14. გადასახადის გადამხდელი სრულწლოვანი კაცი ერთგან არის 169, ხოლო მეორეგან 24. ტეზერში სამეუფეო ველზე გადასახადია 20 ახჩა, სამეუფეო ვენახზე - 12. მიწაზე გადასახადი მართებთ ტეზერში 150 ახჩა, ხოლო ჩალაში - 50 ახჩა.

ისფინჯის გადასახადს იხდის 193 კაცი, რაც 23160 ახჩას უდრის.

ტეზერი და სათესველი ჩალა იხდის 700 ქილა ხორბალს (14000 ახჩა); 450 ქილა ქერს (6450 ახჩა); 120 ქილა ჭვავს (1800 ახჩა); 200 ქილა ფეტვს (3000 ახჩა).

უშრის გადასახადი ვენახზე 13600 ახჩაა. აქ არის 380 დონუმი ვენახი. თითოეულ დონუმზე გადასახადი 40 ახჩა იყო. მაღალი გადასახადებია გაწერილი ერბოზე (4500 ახჩა), სკაზე (400 ახჩა), ცხვარზე (4000 ახჩა) და ღორზე (2000 ახჩა).

არუსანეს გადასახადი განისაზღვრებოდა 180 ახჩით. დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 700 ახჩით.

გადასახადი დაწესებული იყო იათაკზე. მისი რაოდენობა მსგავსად ქვიშხეთისა 2 - ია და 2400 ახჩა იყო გადასახდელი.

ტეზერსა და ჩალაში ფიქსირდება 15 თვალი წისქვილი, სრული წლით მასზე გაწერილია 1800 ახჩა.

ბადიჰავასა და მისი ჯგუფის გადასახაებზე გაწერილია 1200 ახჩა.

გადასახადების ჯამი შეადგენს 77.390 ახჩას.

ყურადღებას იქცევს საზღვრის აღწერა, რომელშიც ნათქვამია: „ხსენებული სოფლის (ტეზრის - თ. ლ.) საზღვარი იწყება ტაშისკარის მისადგომებთან. მდინარე მტკვრის ნაპირით, გორაკთან არსებული ციხით საციციანომდე ზედა მხარემდე გაივლის, იგი მთაწმინდის კოშკამდე აღწევს. იქიდან ჰაჯის გორაკამდე ვრცელდება. იქიდან კი თავქვე ეშვება. ჰაჯი სუს ცხელი ადგილებით მიემართება. იქიდან კი მტკვრის ნაპირით აღმა აუყვება. იგი ტაშისკარის მისადგომებთან თავდება“.

სოფელი სურამი, ასეა დავთარში დაფიქსირებული გვიანდელი ზემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. აქ 148 კომლია (სახლია) აღწერილი. მათ შორის არის ხუთი აზნაური. რაც შეეხება გადასახადების გადამხდელ სრულასაკოვან კაცს, 255 - ია.

სურამში არის მიწის ნაკვეთი, რომლის მესაკუთრეც იხდის 100 ახჩას.

ისფინჯის გადასახადს 255 კაცი იხდის და შეადგენს 8000 ახჩას. ერთ კაცი იხდის 32 ახჩას.

რაც შეეხება მარცვლეულის გადასახადს. სურამლები იხდიან 100 ქილა ხორბალს (2000 ახჩა); 80 ქილა ქერს (1600 ახჩა); 20 ქილა ჭვავს (300 ახჩა); 20 ქილა ფეტვს (300 ახჩა).

უშრის გადასახადი ვენახზე სურამისათვის შეადგენდა 2000 ახჩას. აქ იყო 50 დონუმი ვენახი. როგორც სხვაგან, აქაც ერთ დონუმზე გადასახდელი იყო 40 ახჩა. სურამლები იხდიან უშრის გადასახადს აგრეთვე ხილზე - 50 ახჩას.

ერბოზე გადასახადი იყო 120 ახჩა, სკაზე - 90, ცხვარზე - 910 და ღორზე 120 ახჩა.

სურამლები იხდიან თივაზე გადასახადს - 90 ახჩას.

არუსანეს გადასახადი შეადგენდა 180 ახჩას, ხოლო დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი 80 ახჩას.

სურამში ამ დროს ყოფილა ერთი თვალი წისქვილი, რომელზეც წლიურად გადასახადი შეწერილია 120 ახჩა.

ბადიჰავას ჯგუფის გადასახადები შეადგენდა 40 ახჩას.

ოსმალური გადასახადების ოდენობა სულ სურამისთვის შეადგენდა 15000 ახჩას.

სოფელ ბეკამზე (ბეგამი) მითითებულია რომ იგი ახლოსაა სოფელ სურამთან. აქ 32 კომლია. გადამხდელია 47 კაცი, მიწის ნაკვეთზე შეწერილია გადასახადი 150 ახჩის ოდენობით. ამის შემდეგ დავთარში მოდის შინდარის დასახლება, სადაც 49 კომლია დაფიქსირებული 83 სრულასაკოვანი გადამხდელით. აქაც მიწის ნაკვეთზე შეწერილია 150 ახჩა.

ბეკამისა და შინდარას ოსმალური გადასახადები დავთარში გაერთიანებული უნდა იყოს.

ისფინჯის გადასახადი ორივესთვის 1500 ახჩაა. ხორბალს იხდიან 50 ქილას (1000 ახჩა), ქერს 25 ქილას (500 ახჩა), ჭვავს 20 ქილას (350 ახჩა) და ფეტვს 20 ქილას (250 ახჩა).

უშრის გადასახადი ვენახზე 540 ახჩაა, ერთ დონუმზე იხდიან 40 ახჩას. ჰქონიათ 540 : 40 = 14 დონუმი.

გადასახადი არუსანეზე იყო 120 ახჩა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 80 ახჩა.

ერბოზე გადასახადი იყო 120 ახჩა, სკაზე - 80, ცხვარზე - 150, ღორზე - 60. გადასახადს იხდიდნენ თივაზე, 90 ახჩას.

ბადიჰავას ჯგუფის გადასახადები შეადგენდა - 80 ახჩას.

გადასახადები მთლიანად შეადგენდა 5000 ახჩას.

მსგავსად ბეკამისა და შინდარისა, ოსმალური გადასახადები გაერთიანებული უნდა იყოს გვერდისუბნისა და ებრაელთა დასახლებისათვის. გვერდისუბანში აღწერილია 19 კომლი (სახლი) 26 სრულწლოვანი გადამხდელით. მიწის ნაკვეთზე შეწერილია გადასახადი 50 ახჩის ოდენობით. რაც შეეხება ებრაელთა დასახლებას, აქ აღწერილია 36 კომლი, რომელშიც არის გადასახადების გადამხდელი 46 სრულასაკოვანი კაცი.

ისფინჯის გადასახადი შეადგენს 1500 ახჩას.

მარცვლეულის გადასახადი შეადგენდა: 50 ქილა ხორბალს (1000 ახჩა), 25 ქილა ქერს (500 ახჩა), 20 ქილა ჭვავს (250 ახჩა) და 20 ქილა ფეტვს (250 ახჩა).

უშრის გადასახადი ვენახზე შეადგენდა 540 ახჩას. აქაც არი 14 დონუმი ვენახი. უშრის გადასახადი იყი ხილზეც - 80 ახჩა.

ერბოზე გადასახადი შეწერილი იყო 120 ახჩა, თივაზე - 80, სკაზე - 90, ცხვარზე - 150 და ღორზე - 60.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა შეწერილი, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 80 ახჩა.

ბადიჰავას ჯგუფის გადასახადი 80 ახჩაა.

გადასახადების ჯამი შეადგენს 5000 ახჩას.

სოფელ გორათში დაფიქსირებულია 10 კომლი და მათში გადასახადების გადამხდელი სრულასაკოვანი 18 კაცი. მიწის ნაკვეთზე შეწერილია გადასახადი 20 ახჩა, სამეუფეო (სახასო) ველზე - 2 ახჩა. ამდენივეა შეწერილი სამეუფეო ვენახზეც. ისფინჯის გადასახადს იხდის 18 კაცი 2160 ახჩის ოდენობით. ერთ კაცზე შეწერილია 120 ახჩა.

გორათელებზე გაწერილია 100 ქილა ხორბალი (2000 ახჩა), 60 ქილა ქერი (2000 ახჩა), 30 ქილა ჭვავი (450 ახჩა) და 40 ქილა ფეტვი (600 ახჩა).

გორათელები მევენახეობასაც მისდევდნენ. უშრის გადასახადი ვენახზე შეადგენდა 2000 ახჩას. ჰქონიათ 50 დონუმი ვენახი. ერბოზე გადასახადი შეადგენს 120 ახჩას, სკაზე - 90, ცხვარზე - 290, ღორზე - 120.

არუსანეს გასახადსა და დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადს იხდიდნენ 120 ახჩის ოდენობით.

გორათში ერთი თვალი წისქვილია, რომელზეც სრული წლით გაწერილია 120 ახჩა.

ბადიჰავას ჯგუფის გადასახადები შეადგენდა 200 ახჩას.

გორათელები მთლიანად იხდიდნენ გადასახადის სახით 9590 ახჩას.

სოფელი ხაშური ახლოსაა სოფელ გორათთან.

აქ აღწერილია 9 სახლი (კომლი). არის სრულასაკოვანი 15 კაცი. მიწაზე დაწესებულია გადასახადი 50, ხოლო სამეუფეო ველზე 20 ახჩა.

ისფინჯის გადასახადს იხდის 15 კაცი და შეადგენს 1800 ახჩას. ერთი გადამხდელი იხდის 1800 : 15 = 120 ახჩას.

ხაშურლებზე გაწერილია 100 ქილა ხორბალი (2000 ახჩა), 60 ქილა ქერი (900 ახჩა), 20 ქილა ჭვავი (300 ახჩა), 30 ქილა ფეტვი (450 ხჩა). აგრეთვე გადასახადები გაწერილია ერბოზე (120 ახჩა), სკაზე (90), ცხვარზე (150) და ღორზე (90).

უშრის გადასახადი ვენახზე შეადგენს 1600 ახჩას, რაც 40 დონუმზეა გაწერილი. არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი - 90 ახჩა.

ხაშურშიც ერთი თვალი წისქვილია, რომელზეც სრული წლით შეწერილია გადასახადი 120 ახჩის ოდენობით.

ბადიჰავას ჯგუფის გადასახადები 190 ახჩაა.

საერთო საოსმალო გადასახადთა ოდენობაა 8020 ახჩა.

საშუალო სოფელი ჩანს ოსიაური, სადაც 40 მოსახლე (კომლი) ცხოვრობს. მათში სრულასაკოვანია 69 კაცი, რომლებიც იხდიან ისფინჯის გადასახადს 8280 ახჩის ოდენობით. მიწაზე დაწესებული გადასახადი 50 ახჩაა, სამეუფეო ველზე კი 20 ახჩა.

ოსიაურლები იხდიან 200 ქილა ხორბალს (4000 ახჩა), 100 ქილა ქერს (1500 ახჩა), 50 ქილა ჭვავს (750 ახჩა), 60 ქილა ფეტვს (900 ახჩა), უშრის გადასახადს 50 დონუმ ვენახზე (2000 ახჩა), ერბოზე (350 ახჩა), სკაზე (120 ახჩა), ცხვარზე (490 ახჩა), ღორზე (120 ახჩა).

არუსანეს გადასახადია 120 ახჩა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი - 200 ახჩა, ბადიჰავას ჯგუფის გადასახადი კი 500 ახჩა.

ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები ოსიაურისთვის შეადგენს 19330 ახჩას.

ოსიაურს მოსდევს სოფელი ახალსოფელი. აქ 10 სახლია (კომლი), რომელშიც გადასახადების გადამხდელი სრულასაკოვანი 18 კაცია. მიწაზე დაწესებული გადასახადი 50 ახჩაა, სამეუფეო ველზე - 20 ახჩა. აქვეა თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რომელზეც გაწერილია 20 ახჩა. ისფინჯის გადასახადს 18 კაცი 2160 ახჩის ოდენობით იხდის.

სხვა გადასახადები ასეთია: 100 ქილა ხორბალი (2000 ახჩა), 90 ქილა ქერი (1350 ახჩა), 40 ქილა ჭვავი (600 ახჩა), 60 ქილა ფეტვი (900 ახჩა), ერბო (350 ახჩა), სკაზე (120 ახჩა), ცხვარზე (300 ახჩა) და ღორზე (120 ახჩა).

ახალსოფლელებს აქვთ 50 დონუმი ვენახი, რაზეც გაწერილია გადასახადი 2000 ახჩის ოდენობით.

არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა, დეშთიბანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი 190 ახჩა. ბადიჰავას რაოდენობაჯგუფის გადასახადი შეადგენს 300 ახჩას.

ოსმალური გადასახადებისა და ვალდებულებების საერთო რაოდენობაა 10510 ახჩა.

სოფელ სატივეში (სათივე) აღწერილია 8 კომლი, რომელშიც გადასახადის გადამხდელი სრულასაკოვანი 15 კაცია დაფიქსირებული. მათზე ისფენჯის გადასახადი გაწერილია 1800 ახჩის ოდენობით. მიწაზე გადასახადი შეწერილია 50 ახჩა.

სატიველებს შეწერილი ჰქონდათ 80 ქილა ხორბალი (1600 ახჩა), 60 ქილა ქერი (900 ახჩა), 20 ქილა ჭვავი (300 ახჩა), 30 ქილა ფეტვი (450 ახჩა). იხდიდნენ გადასახადს ერბოზე (200 ახჩა), სკაზე (90 ახჩა), ცხვარზე (90 ახჩა), ღორზე (120 ახჩა).

უშრის გადასახადს იხდიდნენ 20 დონუმ ვენახზე, რაც შეადგენდა 800 ახჩას.

არუსანეს გადასახადი იყო 120 ახჩა. ასეთივე რაოდენობის გადასახადი ჰქონდათ შეწერილი დეშთიბანზე და თაფუზე.

სატივეში ორი თვალი წისქვილია. სრული წლით გადსახადი შეადგენდა 120 ახჩას.

ბადიჰავასა და მისი ჯგუფის გადასახადებზე შეწერილია 200 ახჩა. და შეადგენს 6910 ახჩას.

სოფელ ლუბრუმაში (ლუბირმა), რომელიც ლუბრმას სახელწოდებით არის ცნობილი საისტორიო საბუთებში, აღწერილია 13 კომლი (სახლი). ფიქსირდება გადასახადის გადამხდელი სრულასაკოვანი 23 კაცი, რომლებიც იხდიან ისფინჯის გადასახადს 2760 ახჩის ოდენობით.

მიწის დღიურ მფლობელზე დაწესებულია გადასახადი 50 ახჩა. სამეუფეო ველის დღიურ მფლობელზე კი 10 ახჩა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

„საქართველოს ბიზნესასოციაცია“ უფროსკლასელებს მომავალ პროფესიებს აცნობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ლევან გამრეკელი და ნოდარ ლომიძე პროექტ „საქართველოს ბიზნეს ასოციაცია ახალგაზრდების დასაქმებისთვის“ ფარგლებში უფროსკლასელებთან შეხვედრას დაესწრნენ.

შეხვედრა მიზნად ისახავდა უფროსკლასელებს შორის იმ პროფესიების შესახებ ცნობადობის ამაღლებას, რომლებზეც მაღალია მოთხოვნა დამსაქმებლების, ხოლო დაბალია ცნობადობა და ინტერესი აბიტურიენტების მხრიდან. ხაშურის პირველი საჯარო სკოლის დარბაზში შეკრებილი უფროსკლასელები გაეცნენ საქართველოს შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს და ინფორმაცია მიიღეს შესაბამის სფეროებში საქმიანობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შესახებ. მათ შორის, ხაშურის პროფესიულ კოლეჯ „ქართლის“ სასწავლო პროგრამების შესახებ, რომლის ამოქმედებაც უახლოეს მომავალში იგეგმება.

პანელურ დისკუსიაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თათია ბროლიძე, ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად გოგუაძე, საქართველოს ბიზეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან ვეფხვაძე, პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი თამარ ქიტიაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნათია გვირჯიშვილი, USAID ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ხელმძღვანელი ნატალია ბერუაშვილი, US-AID კერძო სექტორის განვითარების უფროსი მრჩეველი დავით წიკლაური, ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჰქონდათ პასუხები მიეღოთ მათთვის საინტერესო კითხვებზე და გაცნობოდნენ დისკუსიის მონაწილეთა პერსონალურ პროფესიულ გამოცდილებას.

შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის მრჩეველი საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან თანამშრომლობის მიმართულებით ნანა ცერცვაძე.

შეხვედრა USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.

- იუბილე -

ლომიძეთა გვარის ღირსეული წარმომადგენელი

საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, ყველა გვარშია გამორჩეულად აღიარებული ლიდერი, გვარის მოსიყვარულე, სახლიკაცების მეთაური, ერთგული, მათზე მზრუნველი პიროვნება. ადამიანი, რომელიც ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლური ღვაწლის დამფასებელია.

დიდია ასეთ ლიდერთა წვლილი გვარის წინაშე სასიკეთო საქმეების კეთებაში, ისინი სამაგალითონი არიან გვარიშვილთათვის, საგვარეულო საზოგადოების მიზანიც ხომ ისაა, რომ ასეთ აღიარებულ მამულიშვილთა სასიკეთო საქმეები საჯარო გავხადოთ სხვებისათვის.

სწორედაც რომ სანაქებო მამულიშვილთა - ლომიძეების გვარის ღირსეული წარმომადგენელთა შორისაა ხაშურში დაბადებული და აღზრდილი, შესანიშნავი ვაჟკაცი სულიკო (მევლუდი) ლომიძე, რომელიც მრავალი კარგი საქმის მოთავეა, ამასთან ლომიძეების გვარის დიდი გულშემატკივარი და თანამდგომია.

ბატონი სულიკო წლების მანძილზე ბორჯომის რაიონში ანდეზიტის წარმოებაში მუშაობდა, განვლო გზა რიგითი ინჟინრიდან წარმოების დირექტორამდე. მრავალი წლების მანძილზე არაერთ წარმატებას მიაღწია, როგორც საწარმოს წინსვლაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. წარმატებით მოქმედ „სამთო ქიმიის“ საწარმოებს შორის ღირსეულად ლიდერობდა ანდეზიტის საწარმო, რომლის პროდუქცია მსოფლიოს 15 ქვეყანაში ექსპორტირდებოდა. თვითონ დირექტორი კი გამოირჩეოდა ხელქვეითების მიმართ გულისხმიერებით, თავაზიანობით. სწორედ მისი დირექტორობის პერიოდში ანდეზიტში წარმატებით გადაწყდა მუშა-მოსამსახურეთა საცხ-ოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების პრობლემა და სოციალური საკითხებიც დადებითად მოგვარდა. გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს, როცა ქვეყანაში ვითარება აირია, ანდეზიტის წარმოებამაც შეწყვიტა მუშაობა, მიუხედავად ამისა, ბატონი სულიკო ანდეზიტის შესასვლელში აქტიურად შეუდგა წმინდა გიორგის სახელობის ბაზილიკური ტიპის ეკლესიის მშენებლობას, რომლის ტერიტორია შესანიშნავად მოაწყო, ეკლესიის კედლები ფრესკებით დაამშვენა და ეკლესია აამოქმედა.

ანდეზიტის დასახლების მცხოვრებლები დღესაც თბილად და მადლიერებით იგონებენ ბატონ სულიკოს, ამ შრომაში დამაშვრალ ვაჟკაცს კი გული ნამდვილად წყდება იმ სამუშაოების შეჩერებაზე, რომლებიც საწარმოს სიმძლავრეების გასაფართოებლად დაიწყო და ცნობილი მოვლენების შემდეგ შეწყდა, ახლა იქ გაპარტახებული და იავარქმნილი რეკონსტრუირებული ქარხნის ნარჩენებია შემორჩენილი...

ბატონი სულიკო მშობლიურ ხაშურში დაბრუნდა, უქმად ვერ გაჩერდა. თავის თანასოფლელთან ბეითან ნოზაძესთან ერთად სოფელ კოდისწყაროში, სადაც ახლა ათიოდე კომლიღაა შემორჩენილი, ეკლესია ააშენა, რომელიც ღვთისმშობლის სახელს ატარებს. ის ეკლესია ბოლომდე არც კი ჰქონდათ დამთავრებული როცა ხაშურის შესასვლელში ეკლესიის მშენებლობა წამოიწყო, რომელიც წარმატებით დაამთავრა. აქტიური მონაწილეობა მიიღო ხაშურის ცენტრში არსებული ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოებშიც.

ბატონი სულიკო ლომიძეების გვარის ერთგული გულშემატკივარია. ხაშურის რაიონში, სადაც 3 ათასზე მეტი ლომიძე ცხოვრობს, მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და თანამდგომია, შესანიშნავი წინადადებებისა თაოსნობების მოთავეა, ამიტომაცაა, რომ ის ლომიძეების და საგვარეული დარბაზის გამგეობის ღირსეულ წევრადაა არჩეული.

შესანიშნავ ინჟინერს არაერთი თვალსაჩინო ნაგებობა აქვს აშენებული, მათ შორის თვით ხაშურის ცენტრალური ბაზარი, ხოლო 2008 წლის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ცხინვალიდან ლტოლვილთათვის მრავალი საცხოვრებელი კომპლექსი ააშენა. ღვაწლმოსილ მშენებელს ნამდვილად ეამაყება თავის ნაღვაწი და დღემდე განვლილი შემოქმედებითი გზა.

ბატონი სულიკო შესანიშნავი ოჯახის უფროსია, სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი ვაჟკაცია, შვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო სევდამ და მწუხარებამ დაღი დაასვა მის ყოველდღიურ ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, იგი კვლავ რჩება ლომიძეთა სამაგალითო მამულიშვილად და მხარდამჭერად.

14 ოქტომბერს ბატონ სულიკოს დაბადებიდან 77 წელი უსრულდება. გულწრფელად ვუსურვებთ ლომიძეთა გვარის ღირსეულ წარმომადგენელს დაბადების დღეს. ჯანმრთელობას. ბედნიერებას და ღვთის წყალობას ვუსურვებთ.

ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი

„ხაშურის მოამბის“ რედაქცია, თავის მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, უერთდება ამ მილოცვას და ბატონ სულიკოს ულევ სიხარულს და ჯანის სიმრთელეს უსურვებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობენ საკრებულოს წევრს მაყვალა მაისურაძეს მეუღლის

ნუგზარ მელიქიძის

გარდაცვალების გამო

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.